№ 165

ოთხშაბათი, 3 აგვისტო 1894

1877—1894

№ 165

ოთხშაბათი, 3 აგვისტო 1894

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 0 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთი დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის.

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

წერილები და კორესპონდენციები უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

კავკავის ქართულ სასწავლებელში მომავალ სამოსწავლო წლისათვის ბავშვების მიღება შეიძლება 22 აგვისტოდგან 1 სექტემბრამდის. ახალ შემოსაყვანი ბავშვები უნდა იყვნენ ვაჟები არა ნაკლებ 7 ან 8 წლისა და ქალები 8 წლისა. სასწავლებელში შემოსვლის დღეს უნდა წარმოადგინონ ადგილობრივი მღვდლისაგან დაბადება—ნათლობის და ექიმისაგან ყვავილის აცრის მოწმობები.

(3—მ—2)

## დეპეშა

1 აგვისტო

**მოსკოვი.** ხელმწიფე იმპერატორმა, დიდის მთავრინას ქსენიას ალექსანდრეს ასულის ჯვარ-წერისა გამო, ქ. მოსკოვის ღარიბებს 7,143 მან. უწყალობა.

**პარიჟი.** ანარქისტთა საქმისა გამო სამართალში მიცემულთა შორის ვითარცა ქურდნი დასჯილ იქმნენ: ორტიზს გადაეწყვიტა 15 წლით კატორგა და შერიკოტს—8 წლით, ამათს თანამოზიარე ბერტანს-კი—ექვსის თვით საპატიმროში დაპატიმრება.

**შანჰაი.** იაპონიის ესკადრა, რომელმაც იერიში მიიტანა პარასკევს ვეი-ხაი-ვეიზედ, 26 დროშისაგან შესდგებოდა; არავინ იცის, რამდენი იყო ამათ შორის სამხედრო ხომალდი; ჩინეთის ფლოტი არსადა სჩანდა; იაპონიის ხომალდებმა და ჩინეთის სამხედრო სიმაგრეებმა 50-ჯერ ესროლეს ერთმანეთს ზარბაზანი. იაპონიის ფლოტი ნავთსადგურს არტურს თავს დაეცა პარასკევს საღამოს; არც ვეი-ხაი-ვეი და არც ნავთ-სადგური არტური არ დაზარალებულან.

## ახალი ამბავი

*** ხელმწიფის ბრძანებით დამტკიცებულ იქმნენ საპატიო მომრიგებელ მოსამართლეებად ტფილისის გუბერნიაში: სახელმწიფო საბჭოს წევრნი: ინფანტერიის ღენერალ-ადიუტანტი ღენერალი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი, და სტატს-სეკრეტარი დეისტვიტელნი ტაინი სოვეტნიკი, ბარონი ნიკოლაი, ტფილისის გუბერნატორი, კამერგერი უმაღლესის კარისა, თავადი შარვაშიძე და წევრნი მთავარ-მართებლის საბჭოსი, ტაინი სოვეტნიკები: პრიბილი და იაკიმოვი. ბაქოს ოლქში—ბაქოს გუბერნატორი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი როგგე; ყველა ესენი არიან დანიშნულნი სამის წლით, პირველ ივლისიდგან.

*** საფრანგეთის მევენახეებს გამოუგზავნიათ ბ-ნი ოტტო ჩილზი, რომელმაც უნდა წაიღოს ჩვენებური ვენახის ლერწები. საფრანგეთის მევენახეებმა დიდი ხანია მიაქციეს ყურადღება საქართველოს ღვინოს და სურთ აქაური ვენახები იქაც გააშენონ.

*** ამ დღეებში ხაშურსა და ბორჯომს შუა რკინის გზის ტელეგრაფი გაჰმართეს. ამ ტელეგრაფის მავთულზედ შეაერთეს ინჟენერ ბალიუკევიჩის სისტემის ტელეფონები ბორჯომსა და ხაშურში და ეხლა რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ ლაპარაკობენ ხაშურიდგან ბორჯომში ტელეფონით. თუ საჭიროება მოითხოვს, შესაძლოა, რომ ბორჯომის ტელეფონი შეაერთონ ტფილისისასთან და ტფილისიდგან გამოეხმაურნენ პირდაპირ ბორჯომს.

*** მცოდნე კაცები, რომელნიც მოწვეულნი არიან „ვლადიმირის“ და „კოლუმბიის“ დაჯახების გამო ამტკიცებენ, რომ იტალიის ხომალდზედ უფრო კანონიერი და წესიერი განკარგულება იყო მომხდარი, ვიდრე რუსის ხომალდზეო. იმედი აქვთ, რუსეთის ფინანსთა მინისტრი ჩაერევა „რუსეთის ნავოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების“ საქმეში და წესში მოიყვანს ამ საზოგადოების საქმეებს, რადგანაც დღეს ყოველ გვარი უბედურება შესაძლებელია დაემართოს ამ საზოგადოების ხომალდსაო.

*** ბ-ნებმა ტერენტიევმა და თუმაევმა, რომელთაც დაეღუპათ „ვლადიმირის“ ხომალდზედ პირველს დედა და და, და მეორეს ცოლი, დაიქირავეს ორი ხომალდი ხუთის დღის ვადით, 150 თუმნად მოიწვიეს ასტრონომი ბლოკი და მიანდეს დაღუპულის „ვლადიმირის“ მონახვა.

*** კავკასიის რკინის გზის უფროსმა ინჟენერმა ბ-ნმა ფრიდემ საყოველთაო ბრძანებით ცირკულიარით აცნობა რკინის გზის ყოველ მსახურთ, რომ ამ გზის საპენსიო კასსის წესდება უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა. ამ წესდების ძალით პირველს წელს რკინის გზაზედ ყოველ მსახურთა ჯამაგირიდგან უნდა გამოერიცხოთ 12°/₀ და შემდეგ-კი 6°/₀-ი წელიწადში. სრულს პენსიას მიიღებენ ისინი, რომელნიც რკინის გზის სამსახურში იქნებიან ოც-და-ათს წელიწადს. ამის გარდა, თუ რომ ვინმე მსახურთაგანმა რკინის გზაზედ ათის წლის განმავლობაში იმსახურა, შემდეგ ავადმყოფობისა გამო ველარ შესძლო სამსახური და გამოვიდა, მიეცემა რაოდენიმე ნაწილი პენსიისა სახელმწიფო რკინის გზათა მთავარსამმართველოს შეხედულებისამებრ.

*** სოფ. ქუმლისციხე (დუშეთის მაზრა): 19 ივლისს ამ სოფელში მცხოვრები სანდრო ჯივიშვილი ყანებში წავიდა ქართულის თოფით სანადიროდ, დათვი უნდა მოეკლა. საღამოს 8 საათზედ ბინდი იყო, რომ ყანაში დარაჯობის დროს რაღაცა გამოჩნდა. დათვად ეჩვენა, დაუმიზნა თოფი და ესროლა, თოფის სროლა და ვიღასიც შეკივლება ერთი იყო. მივიდა ნახა მონადირემ და დარწმუნდა, რომ ადამიანისთვის მოერტყა თოფი. მაშინვე გაუსინჯა ნაკრავი ადგილი; საბრალო ტყვია-მოხვედრილი სოფ. ქვემო-მლეთის მცხოვრები იყო, მოსე ბურდული, და მარცხენა მკლავში ჰქონდა ტყვია. მოუწოდეს შინაურს ექიმს ლევან ავსაჯანოვს, ტყვია ამოიღო მკლავიდგან და დაუწყო წამლობა, მაგრამ დაჭრილმა ჭრილობას ვერ გაუძლო და 25-ს ივლისს გარდაიცვალა. მოსე ბურდული მთვრალი ყოფილიყო, სალმრთოში იყო თურმე სხვაგან დაპატიჟებული, მთვრალი დაბრუნდა და სიმთვრალის გამო ყანაში წაქცეულიყო. ამ საქმის გამო ქვეშეთის ბოქაული და დუშეთის მაზრის მკურნალი ამოვიდნენ სოფ. ქვემო-მლეთში და ოქმი შეადგინეს.

*** ქვეშეთი (დუშეთის მაზრა): თორმეტი წელიწადი იქნება, რაც ქვეშეთიდამ „კამანდა“ ფასანაურს გადავიდა და ფასანაურიდგანაც სამი წელიწადია, რაც სულ წავიდნენ და აღარ არიან, „კამანდაში“ სულ 100 ჯარის-კაცი ირიცხებოდა. მას აქეთ დარჩა ქვეშეთში ყაზარმის მშვენიერი შენობა, რომელსაც არც დარაჯი ჰყავს და არც პატრონი. ამის გამო შენობა თუ არ ფუჭდება და არ ინგრევა, არა ემატება-რა. ამას გარდა სძარცვავენ შენობას და კიდეც მოიპარეს ჩარჩოები, სახურავები, წყალის ჩამოსადენი მილები, გათლილი კიბის ქვები, იატაკის ფიცრები და სხვა. სასურველია, რომ მთავრობამ, თუ აღარ უნდა ეს შენობა, გაჰყიდოს მაინც. ჩვენსკენ იმის შეძენის მსურველი ცოტა არ აღმოჩნდება.

## ფელეტონი

### მოძღვრება ევოლიუციისა კრიტიკაში.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც საფრანგეთის აკადემიაში უკვდავთა თანა შერიცხულ იქმნა, საფრანგეთის გამოჩენილი კრიტიკოსი ფერდინანდ ბრუნეტიერი. თუმცა მან de jure-თ ჟურნალისტის ლემუანის სავარძელი დაიკავა, მაგრამ de facto-კი ბრუნეტიერს ტენის ადგილი ეკუთვნის და თუ-კი ვინმე არის იმ ადგილის დაკავების ღირსი—ბრუნეტიერია. როგორც ნიჭით, ისე გასაოცარის ცოდნისა და არა ჩვეულებრივის მეხსიერებით იგი გაცილებით მაღლად სდგის ყველა დღევანდელს საფრანგეთის კრიტიკოსებზედ (ჟიულ ლემეტრსა, ანატოლ ფრანსსა, ემილ ფაგესა და განსვენებულს ემილ ჰენნეკენზედაც), ამას თვით ემილ ფაგე ჰმოწმობს თავის ბრუნეტიერის შესახებს ეტიუდში, რომელიც ახლად დაარსებულის ფრანგულის ჟურნალის „Revue de Paris“-ის პირველს ნომერშია მოქცეული. ეხლა ხანს მაინც საზოგადოდ საფრანგეთის ლიტერატურამ და ფილოსოფიამ ისეთი სიცოცხლე გამოიჩინა, რომ გაცილებით წინ გაუსწრო ევროპის სხვა ქვეყნებისას. ამიტომ მე მგონია ჩვენის ლიტერატურისათვის მიუცილებელი საჭიროა თვალ-ყური ადევნოს ამ ლიტერატურასა და კრიტიკას. მართალია, ჩვენ სრულიად ვეთანხმებით „კვალის“ რეცენზიას „მოამბის“ პირველ ნომრის უცხოეთის მიმოხილვის შესახებ, მაგრამ ესეც არ უნდა დავივიწყოთ, რომ თუ მივიღებთ მხედველობაში საფრანგეთის ზემოხსენებულს წარმატებას ლიტერატურისა და ფილოსოფიის მხრივ, მაშინ ჩვენ ბევრს წავაგებთ, თუ უყურადღებოთ დავსტოვებთ ამ ქვეყნის ლიტერატურას. მხოლოდ ჩვენი განშორება ნებსითი თუ უნებლიეთი საერთაშორისო პოლიტიკიდგან იმ სარგებლობას გვაძლევს, რომ შეგვიძლიან განვარჩიოთ ის დღიურის ინტერესების გატაცებით გამოწვეული ნაკლულევანებანი, რომელიც შეეპარა საფრანგეთის ცხოვრებას, მრავალ უეჭველ ღირსებასთან ერთად, რაც შედეგია იმ მაღალის აზრებით გატაცებისა, რომლის მაგალითი ყოფილა ყოველთვის ეს ქვეყანა. რა-კი ეს ყოველთვის სახეში გვექმნება, შეიძლება ვერავინ ისე ვერ ისარგებლოს კეთილად ეხლანდელის ლიტერატურულისა და ფილოსოფიურის მიმართულებით (რომლისაც, ვიმეორებთ, საფრანგეთი საუკეთესო წარმომადგენელია), როგორც ჩვენ. ასეა, ბატონებო, ცხოვრებაში ხშირად ხდება, რომ ცუდი მდგომარეობა ერთს რამეში არის საფუძველი მეორეს მხრივ წარმატებისა და კეთილის შეძენისა.

რაკი ეს შენიშვნები წინ წავიმძღვარეთ, ეხლა შეგვიძლიან შევუდგეთ ჩვენს საგანს. ჩვენა გვსურს პატარა წერილში გამოვხატოთ ის, თუ ევოლიუციის მოძღვრებას ბრუნეტიერი რა რიგად ჰხმარობს საზოგადოდ ლიტერატურისა და მისის ისტორიის შესასწავლად. ეს აზრები მან გამოსთქვა პირველად 1890 წელს გამოცემულს წიგნში, რომელსაც ეწოდება: L'évolution des genres dans l' histoire de la litterature. ეხლა ხანს-კი მან გამოსცა პირველი ტომი იმ ლექციებისა, რომელსაც შარშან კითხულობდა სორბონში: L' évolution de la poésie lyrique en Francc, იგი შეადგენს პირველის გაგრძელებას.

1890 წელს გამოცემულს წიგნში ბრუნეტიერი გვპირდებოდა, რომ 1892 წელს მთლად დავამთავრებ ჩემს თხზულებასაო, რომლის შესავალს შეადგენდა ეს პირველი წიგნი. ამ შესავალში ის აღგვიწერს კრიტიკის ევოლიუციით მსვლელობას განახლების ეპოქიდგან დღევანდელს დღემდის. მეორე ტომში უნდა ყოფილიყო ევოლიუცია ლიტერატურულ ჟანრთა (გვართა), მესამეში იქნებოდა მაგალითები და მეოთხეში-კი დასკვნა და მეთოდი. მაგრამ ჰგავს ძალიან შორს გაიტაცა ამ შრომამ შესანიშნავი კრიტიკოსი, რადგან აგერ 1894 წელია და ჯერ გამოსცა მხოლოდ მეორე ტომი, ანუ, უკეთა ვსთქვათ, ნაწილი მეორე ტომისა, რადგან იქ, როგორც გვპირდებოდა, სხვაც ბევრი რამ უნდა ყოფილიყო მოქცეული. ეჭვი არ არის, ბრუნეტიერი, რომელიც ცნობილია თავისის გატაცებულის შრომის-მოყვარეობით და სინიდისიერის შრომით, რომლის ცოდნა და ნიჭი უეჭველი საფუძველია, რომ ძალა შესწევს ამ გვარის დიდის შრომის ასასრულებლად და რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზდა ფილოსოფოსია (სულ 45 წ. თუ იქმნება და ეს ხანა ფრანგისათვის და საზოგადოდ ევროპიელისათვის საუკეთესო ხანაა შრომისათვის), ადრე იქმნება თუ გვიან თავის აღთქმას შეასრულებს და თუ შეასრულა, დიდს სახელს უქადიან, როგორც მისი თანამემამულეები, ისე უცხოელი მწერლებიც. «მე მინდაო», ამბობს იგი: „რადგან ევოლიუციის თეორია ეხლა ჰმეფობს და რადგან ამ თეორიამ დიდი სამსახური გაუწია არა მარტო ბუნების მეტყველებას, არამედ საზოგადოდ ისტორიასა და ფილო-

ჩნდება.

*** სურამი: 1 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, აქ ცეცხლი გაუჩნდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის საავადმყოფოს სამზარეულოს, საიდგანაც ცეცხლი გადაედო დანარჩენს შენობას. ავადმყოფებს არა დაშავებიათ-რა, მხოლოდ შეშინდნენ. ოთხი ოთახი და სამზარეულოს მოწყობილება სულ ერთიანად დაიწვა. ცეცხლი ჩქარა ჩააქრეს ადგილობრივ მყოფ ჯარის კაცების დახმარებით.

*** სოფ. შხეფი (სენაკის მაზრა): ჩვენში მოსავალს ჯერ-ჯერობით კარგი პირი უჩანს. მხოლოდ ძლიერ შეგვაწუხა უწვიმობამ, რომელმაც საგრძნობლად ავნო ჭირნახულს. მაგრამ ღმერთმა არ აიღო ჩვენზედ ხელი და ივლისის უკანასკნელს რიცხვებში მოგვივლინა კარგი ჟუჟუნა წვიმა და კვლავ დაუბრუნა სიცხისაგან აყვითლებულს სიმინდებს სიცოცხლე. ჩვენში ხეირობს ეგრედ-წოდებული „ოჯალეშის“ ვაზი, რომელმაც წრეულს კარგად მოისხა, მაგრამ ივლისის სიცხეების გამო გაფუჭდა ყურძენი. სხვა მხრივ ჩვენში მშვიდობიანობაა. ქურდობა და ავკაცობა, რომელიც ხშირი იყო, ეს ორი თვეა რაც ღვთით მოსპო ახალმა მაზრის უფროსმა ბ-ნმა ქავთარაძემ, რომელიც განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს და ენერგიულად ებრძვის ამ სენს...

*** 31 ივლისს რაჭის მაზრის მცხოვრებელი, სოსო ციხისელი და ბესო ღონღაძე სიმთვრალის დროს, ორბელიანის ქუჩაზედ სოფ. ქვაცხეთის მცხოვრებელი ერმალოზ ომანიძის ფურნეში შევიდნენ და ჩხუბი აუტეხეს. სოსო ციხისელმა ომანიძე ორს ალაგს დასჭრა და ღონღაძესთან ერთად გაიქცა, მაგრამ პოლიციელები წაეწივნენ და შეიპყრეს. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ამავე დღეს ღამით, რიყეზედ პოლიციელს ვისლოვს რაღაც კაკუნი მოესმა, მიახლოვდა იმ ალაგს და ნახა, რომ ვიღაც ანდრია ტუმაშვილის დუქნის კარების გასაღებს ამტვრევდა. პოლიციელი რომ დაინახა, ქურდი გაიქცა, მაგრამ დაეწია პოლიციელი და შეიპყრო. ქურდი აღმოჩნდა ტფილისის მცხოვრებელი მჭედელი ილია მარჩუკოვი.

*** 31 ივლისს მურავიოვის ქუჩაზედ პოლკოვნიკს შოროხოვს სახლის ღია ფანჯარიდგან მოჰპარეს ორდენი და საათი ღირებული 48 მანეთად.

*** 1 აგვისტოს დახურულს ბაზარში მეეტლემ ალი-სადიხ-ოღლიმ ეტლი დააჯახა ბახშო არუთინოვის ათის წლის ბავშვს. ბავშვს ფეხი დაუშავდა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს. მეეტლე პასუხის-გებაში მისცეს.

## დამაკვირდი

აზრი კვირტია, სიტყვა ყვავილი და ორივე ერთად გონივრულად შეზავებული-კი მასაზრდოებელი ნაყოფი.

**

გონიერებას დაჭკუებიან ხოლმე, მადლს-კი ემორჩილებიან.

ბლანდ

**

მეტის-მეტი გამბედაობა თავხედობაა ისევე, როგორც მეტის-მეტი სიფრთხილე სიმხდალეა.

ქ-ნი ფე

## კორესპონდენცია

**ს. დიდი ჯიხაიში** (ქვემო იმერეთი), 1 ივლისი. ჩვენს სოფელს აქვს ორ-კლასიანი საერო სასწავლებელი, სამრევლო და ერთიც საქალებო სასწავლებელი. ამ უკანასკნელის დაარსებამ ბევრი დავიდარაბა ასტეხა. რაკი სკოლის პირველად დაარსებას ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა, სკოლა აშენდა სულ კერძო შემოწირულებით. სკოლა აკურთხეს 20 თებერვალს. ქ-ნი ნინო მაკაროვისა ასწავლიდა რუსულს და ციფირებს; ქართულს და საღმრთო-სჯულს— ახალგაზდა სემინარიელი მღვდელი. სწავლა უსასყიდლოდ იყო აქამომდე, რადგანაც თვით მასწავლებელნიც უსასყიდლოდ მსახურებდნენ. მაკაროვის ასულმა სხვა-და-სხვა გარემოების გამო შემდეგისთვის სწავლებაზედ უარი განაცხადა. ამის გამო სკოლის სამზრუნველო რჩევამ გადასწყვიტა მოწვევა მასწავლებელ ქალისა, რომელსაც ჯამაგირად ოთხასი მანეთი დაენიშნება. მას, გარდა საღმრთო სჯულისა, ყველა საგნების და ხელ-საქმის სწავლება დაევალება. ეს ჯამაგირი უნდა შესდგეს მოსწავლეებიდგან სწავლის ქირით. სამოც-და-თხუთმეტი მანეთი წლიურად აღუთქვა თ. ა. ჩხეიძემ და ოც-და-ხუთი მანეთი აზ. ს. ლორთქიფანიძემ. ეს ასე იქნება, სანამდის სამოსწავლო მზრუნველის თანხიდგან სკოლას შემწეობა მიეცემოდეს. ბ-ნმა დირექტორმა აღუთქვა არა ნაკლებ ორასის მანეთისა წლიურად. გარდა ამისა პირველ მოსაწყობად აღუთქვა სამასი მანეთი.

ერთი ფრიად სასიამოვნო და სასარგებლო ამბავი გავიგეთ: მთავრობას განუზრახავს ჩვენს მაზრაში დაარსოს ერთი სახელოსნო სკოლა (училише для ремесленныхъ учениковъ). ამ სკოლის შესანახად მთავრობა აძლევს წლიურ ხარჯად 7,465 მ. ჩვენმა საზოგადოებამ მოისურვა ამ სკოლის როგორმე ჩვენში დაარსება. ჩვენი მოქიშპე შეიქნა დ. ხონი და სამტრედია. ფულით და შეძლებით' სიმართლის თქმა სჯობს, ერთიც გვაჯობებს და მეორეც, მაგრამ ერთიც და მეორეც მაზრის განაპირას მდებარეობს; უფრო სამეგრელო ემხრობა მათ, ვიდრე სხვა ადგილები ჩვენის მაზრისა. ჩვენი სოფელი ქუთაისიდგან 18—19 ვერსის მანძილზეა, დ. ხონი ჩვენის სოფლიდგან 9—10 ვერსის მანძილზედაა და სამტრედიაც 12—13 ვერსზედ. ამ გვარად ჩვენი სოფელი მდებარეობს დაახლოვებით საშუალ ადგილას.

სკოლის პირველად მოწყობისათვის საზოგადოებას მოეთხოვება შემწეობა ფულით და ადგილით.

19 წარსულ ივნისს ამ სკოლის შესახებ აქ იყო ყრილობა, რომელზედაც მაზრის უფროსმა ხალხს გამოუცხადა საქმის ყოველივე გარემოება. ყრილობამ თანაგრძნობა და დახმარება გამოუცხადა და საზოგადოდ დიდის სიამოვნებით მიეგებება ამ საქმეს. როდესაც სახლისაკენ მიდიოდნენ, თან ჯგუფ-ჯგუფად ხალხში ხმა გაისმოდა ,,საჭმელი მოვიკლოთ და ეგ საქმე გავაკეთოთ, საშვილიშვილო საქმეაო!..'' 22 ივნისს ჰქონდათ ყრილობა თავად-აზნაურთ და სასულიერო წოდებას, რომელზედაც შემთხვევით დაესწრო მარშალი თ. დ. ნიჟარაძე. ამ დღეს დაიწერა ხელშეკრულობა, რომლითაც თავად-აზნ. და სასულიერო წოდების წარმომადგენელნი პირობას აძლევენ გლეხთ საზოგადოებას, რომ ხუთი ათას მანეთამდე შემწეობას აღმოგიჩენთო, თუ ეს სასწავლებელი ჩვენში იქმნა დაარსებულიო; მასთან თავ. ა. მ. ჩხეიძე ჰპირდება სასწავლებელისათვის ადგილს ოთხიდგან—ექვს ქცევამდის და ფულად ათასს მანეთს.

24 ივნისს გადასჭრეს გლეხებმა— რამდენი შემწეობა შეუძლიათ აღმოუჩინონ პირველად ამ სასწავლებელს. საზოგადოებამ დაადგინა, რომ თუ მთავრობა ამ სასწავლებლის ჩვენში დაარსებას გადასწყვეტსო, მაშინ 700 თუმანი გარდავიხადოთო. ამისათვის ამოარჩიეს თორმეტი წევრი, რომელთაგანაც შეადგინეს კომიტეტი, რომელმაც უნდა აწარმაოს ყოველივე საქმე, ამ ნაირად, მთავრობა რომ ამ სასწავლებელს ჩვენში დააარსებდეს, მას შეუძლია ჩვენ საზოგადოებას მოსთხოვოს ათას თუმნიდგან ათას-ორას თუმნამდე. თუ რომ ჩვენი მეზობელი სოფლებიც ცოტა შემწეობას აღმოგვიჩენენ, როგორც თათონვე გვპირდებიან, მაშინ ხომ უფრო მეტი ფულიც შეგვიდგება და მეტი იმედიც გვექმნება ამ საუკეთესო საგნის მისღწევისა.

დაკარგული

## საფილოქსერო დასთა მოქმედება

სიღნაღ-ალაზნის საფილოქსერო დასმა დაათვალიერა აქამდის სიღნაღის მაზრაში 2048 ვენახი, სივრცით 655 დესეტინა, შემდეგ სოფლებში: ზეგაანში, ახაშენში, ტიბაანში, ბოდბისხევში, მირზაანში და ზემო-მაჩხაანში. აგრეთვე დაათვალიერა: სცხენისში, ზედა-ვაკაზში და ფშაველში, თელავის მაზრაში. აღმოჩნდა, რომ ყოველს ვენახში დიდ-ძალი ვაზი გამხმარიყო, დღესაც ხმება და დაზიანებულია. განსაკუთრებით ბევრი ვაზი გამხმარა სიდამპლისაგან, რომელიც ვაზს ძირში უჩნდება. ამ გამოკვლევის დროს 38 ათას ძირ ვაზზედ მეტი გასინჯეს, რომელიც საეჭვო იყო თავისის გარეგანის შეხედულობით, მაგრამ ფილოქსერა არსად არ უპოვნიათ. სოფლებს ველისციხეს, კარდანახს, ახაშენს და ზედა-ვაკაზს დასი ეხმარებოდა ვენახის მეპატრონეთ ვაზის წამლობასა.

თელავ-თიანეთის საფილოქსერო დასმა დაათვალიერა 374 დესეტინა ვენახი თელავის მაზრაში: ვაჩნაძიანში, კილიერში, შაშიანში და ყრიათუბანში. სულ დაათვალიერა 31,500 ძირი ვაზი და არსად ფილოქსერა არ შეხვდრია. საზოგადოდ დათვალიერებული ვენახები კარგს მდგომარეობაშია, გარდა შაშიანის ქვემო ნაწილისა, რომელიც ალაზნის ახლო მდებარეობს. აქ ვენახი საკმაოდ დაზარალებულია მილდიუსაგან. თუ ყურძნის მარცვალი კარგი მოელის წელს კახეთს, ესევე არ შეიძლება ვსთქვათ პურის მოსავლის შესახებ, რომელიც ბევრგან ნაკლებია. თელავის მაზრის აღმოსავლეთ მხარეს პურის მოსავალი კარგია, ხოლო თითონ თელავის ახლო-მახლო ადგილებში-კი სუსტია. მრავალს ადგილს სიცხემ პური ერთიანად აახმო და ბალახმა შეჭამა. ამ გვარი ყანები თავად არის გათიბული. ამავე დიდის და ხანგრძლივის სიცხეების გამო სიმინდიც ახმა დაუმწიფებელი.

დუშეთ-გორის საფილოქსერო დასმა დაათვალიერა ვენახები გორის აღმოსავლეთ მხარეს სოფლებში: ახრის, ჯარათეხს, ქვემო-არცევს, ზემო-არცევს, აძვისს, ზერთო ქარბალს, ქვემო-სიხის, ზემო-სიხის, ხურვალეთს, უფლისციხეს, ბერშუეთს, ქვეხს, ფლავს, ფლავის მანს, უფლისციხეს, ქვარხითს, ტარტიხისს, დოესს, ჩოჩეთს, ერთაწმიდას, ახალციხეს, ნიაბისს, ბირთს, ფიშიანს, ზემო-ხანდაკს, შალას, ახაშენს, საკორინთლოს, ტეზისს, ოქამს, ჩანგილარს, ახალქალაქს, მეტეხს, ყარაღაჯს, გრაკალს და ლამისყანს. სულ დასმა დაათვალიერა 2872 ვენახი, სივრცით 896 დესეტინა, ამ რიცხვში გასინჯა ძირი 10225 ძირი, მხოლოდ იმ ვაზებს გასინჯა, რომელნიც საეჭვოდ ეჩვენებოდა. ამ გვარი ვაზი, და აგრეთვე სრულიად ამხმარი ხშირად შეხვდა დასს ყოველგან, მაგრამ ფილოქსერა მაინც არ აღმოჩენილა, მილდიუსაგან დაზიანებული ვაზი, მხოლოდ იშვიათად იყო შემჩნეული, აგრეთვე ნაცარიც აღმოჩნდა, მხოლოდ ზოგიერთ ვენახში და ისიც ნაკლებად. გარდა სოკოს სენისა დასმა შეამჩნია, რომ ვაზს ერთ გვარი მატლიც ,,ino ampeloplaga''-ც აფუჭებდა. ყურძნის მოსავალს ზოგან საშუალს მოელიან, ზოგან ნაკლებს. ბევრგან ვენახი დასეტყვილია აპრილსა და მაისში (,,კავკაზი'').

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

ჟურნალ ,,Bevue de Paris''-ის უკანასკნელს წიგნში დაბეჭდილია ჟულ სიმონის წერილი გერმანიის იმპერატორის შესახებ, რომელსაც ჟულ სიმონი კარგად გასცნობია იმ დროს, როდესაც კონგრესი იყო მუშათა

---

სოფიას, ეს თეორია მოვახმაროთ ლიტერატურის ისტორიას და კრიტიკასაო და გამოვსცადოთ იმათთვისაც ისეთივე ნაყოფიერი და სასარგებლო იქნება თუ არაო“ [1]). „თუ-კი ტენმა მოახმარა ლიტერატურის ისტორიას ეოფრუა სენტჰილერისა და კიუვიეს თეორიები, ჩვენ ჩვენის მხრით გვინდა ვსცადოთ შეიძლება თუ არა ამ თეორიების ნაცვლად, ანუ, უკეთა ვსთქვათ, მათ შესავსებლად და შესასწორებლად კაცმა იხმაროს დარვინისა და ჰეკელის თეორია“ [2]).

პირველად ყოვლისა ავტორი აღიარებს, რომ, როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურაშიაც არის გვარი—ლიტერატურული ჟანრი. ეს ჟანრები, როგორც ბუნების ყოველი ნაწარმოები, იბადებიან, იზრდებიან და მერე გარდაიცვლებიან სხვა ნათესავს ჟანრებშიო. იმათ დაბადებას, როგორც მათ აყვავებასა და მათ გარდაცვლას— ტრანსფორმაციას ან ხელს უშლიდნენ და ან ხელს უწყობდნენ ზოგიერთნი პირობანი, ზოგიერთნი გარემოებანი. მათგანი მხოლოდ ისინი რჩებოდნენ და ძლიერდებოდნენ, რომელნიც უფრო ღონიერნი იყვნენ და რომელნიც უფრო შესძლებდნენ ამ პირობაების თავისდა სასარგებლოდ მოხმარებას. ერთის სიტყვით ბუნებრივს შერჩევას ექვემდებარებოდნენ. მათ შორისაც ხდებოდა ცხოვრებისათვის ჭიდილი, საუკეთესო და იდეალური, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, რომელიც იმითი თავდებოდა, რომ ერთი ჟანრი (გვარი ლიტერატურულის ნაწარმოებისა) გზას უთმობდა მეორეს, ხოლო მთლად-კი არ აღიგვებოდა პირისაგან ქვეყნისა, არამედ გარდიცვლებოდა ამ მეორეში. ამნაირად როგორც ბუნებაში, ისე ლიტერატურის მსვლელობაშიაც ხდებოდა ევოლიუცია, ცხოვრებისთვის ჭიდილისა და ბუნებრივის შერჩევის შემწეობით.

ზემოხსენებულის ტეზისებიდგან თავის თავად იბადება ათასი სხვა-და-სხვა საკითხავი. მართლაც, თუ ლიტერატურული ჟანრები, ლიტერატურული ფორმები, ერთი მეორეს მოსდევენ, ერთი მეორეში გარდიცვლებიან, ეს შემთხვევით ხდება თუ რაიმე კანონს ექვემდებარება? ეს თანსვლა უბრალო ხრონოლოგიურია, ე. ი. გარეგანი თუ გენეალოგიურია და შინაგანს თვისებაზეა დამყარებული? ამის შემდეგ, რა ესტეტიკური კავშირი არსებობს ორს ერთი მეორეს მიმდევარს ლიტერატურულს ჟანრთა შორის? მაგალითად, ის ფორმა უმაღლესს ხარისხზედა სდგას ესტეტიურის მხრით, რომელიც წინ იყო, თუ რომელიც შემდეგ წარმოიშობა? რაში მდგომარეობს ეს უმჯობესობა? ან და შეიძლება თითოეულს მათგანს ჰქონდეს თავისი განსაკუთრებული ღირსება და ნაკლულევანება, რომელიც მეორეს არ ექმნება? თუ ერთი ფორმა მეორეში გარდაიცვლება, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ახალს ფორმას აქვს ნასესხები ძველის ფორმის თვისებანი, მასთან შედარებით წარმატების, პროგრესსის გზაზედ სდგას, თუ წინააღმდეგ ხელოვნების ახალი ფორმა წარმომადგენელია რეგრესსისა და დაცემისა, დამცირებისა და გათახსირებისა?

შემდეგ გენეალოგიურის და ესტეტიკურის დამოკიდებულებისა, რა მეცნიერული კავშირია ამ სხვა-და-სხვა გვარს შორის. იმათი ცვლა ექვემდებარება თუ არა რაიმე კანონებს და შეგვიძლია თუ არა ამ კანონების გამორკვევა? იქნება აქ ჩვენ დავინახოთ ისვე, რასაც ბუნების მეტყველები «პროგრესიულ დიფერენციაციას» უწოდებენ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერთ გვარი გარდაიცვლება ხოლმე მრავალ-გვარად, მარტივი—რთულად?

ამ გვარად ბრუნეტიერმა მთელის თავისი თხზულებით უნდა გვიგოს პასუხი შემდეგს მისგანვე წინ წამოყენებულ საკითხავებისა:

1. არის თუ არა ლიტერატურული ფორმა, ჟანრი, ან შეიძლება ეს ტყუილად თავის შესაქცევად მოგონილი სიტყვები იყოს?

2. პირველ საკითხავს «ჰო» მოჰყვება პასუხად, შემდეგ უნდა გამოიძიოს დიფერენციაცია ლიტერატურულ ფორმებისა: რითი განსხვავდებიან ერთი მეორისაგან სხვა-და-სხვა გვარი ლიტერატურულის ნაწარმოებისა, რა რიგად ნაწილდებიან იგინი, მარტივისაგან ხდებიან რთულნი და რა ნაირად ღებულობენ ინდივიდუალურს სახეს?

3. რა გარემოებანი შველიან ლიტერატურულის ჟანრის ხანგრძლივს არსებობას, იმათ ფიქსაციას? ბუნებაშიაც ხომ ყოველი გვარი ცოტად, თუ ბევრად ხანგრძელია და ჩამდგარია კალაპოტში.

4. რა პირობანი უწყობს ხელს ლიტერატურულ ჟანრთა ცვლილებას?

5. ტრანსფორმაცია (გარდაცვლა ჟანრთა). თუ-კი ყოველს ჟანრს ცალკე აქვს თავის ევოლიუცია, რატომ არ უნდა ჰქონდეს აგრეთვე ევოლიუცია საზოგადოდ ყველა ლიტერატურულს ფორმას ერთად. ბუნებაშიაც ხომ ყოველს გვარს აქვს თავისი განსაკუთრებული ევოლიუცია,

[1]) იხ. გვ. 2. L' évolution des genres-ისა.

[2]) იხ. გვ. 278 იქვე.

საქმის განსახილველად ბერლინში მიწვეული. აი, სხვათა შორის, რას მოგვითხრობს ჟულ სიმონი:

მე არასოდეს არ მინახავს იგი არც ქუჩასა და არც თეატრში და არც შინაურ ბალებზედ უმუნდიროდ. მე მგონია, რომ სხვა ტანთ-საცმელს ის არასოდეს არ ატარებს. იმ დღეს, რომლის შესახებაც ვამბობ, თეთრს, გუსართა რაზმის ტანთ-საცმელში იყო და რადგან დიდად ახოვანი და წერწეტია. ახალგაზდა აფიცერი მეგონა. ამბობენ, იმიტომ უფრო უყვარს გუსართა რაზმის მუნდირი, რომ დაჰფაროს უძრაობა თავისის მარცხენა ხელისაო; მართალი გითხრათ, მე არ შევნიშნე იმას არაფერი განსაკუთრებული, ფიქრადაც არ მომსვლია, რომ მარცხენა ხელს ვერ ხმარობს-მეთქი; საზოგადოდ ამ გამხმარის ხელის ამბავი მე უფრო შორიდგანა მაქვს გაგონილი. რომ არ ვიცნობდე და უცბად შემხვედროდეს სადმე, ჯან-საღი და ფრიად მკვირცხლი აფიცერი მეგონებოდა. სასიამოვნო სახე აქვს, კეთილი და მოწყალე მეტყველება სახისა, თმა წაბლის ფერი აქვს და ცოტა ოქროს ფერიც დასცემს. ასე მეგონა, რომ ამ ალერსიან სახეში რაღაცა ისეთი იფარება, რაც ნათლად ეუბნება ადამიანს, რომ დიდად საფრთხილოა რომელსამე საგანში ჩემი წინააღმდეგობა და ჩემის აზრის შეუწყნარებლობაო. იქნება ასეთი აზრი იმიტომ დამებადა, რომ ვგრძნობდი, რა დიდებული კაცი მიდგა თვალ-წინ, თუმცა-კი ვფიქრობ, რომ იგი შედეგია ჩემის დაკვირვებისა.

ვიდრე ჩვენ ბაასის შესახებ ვიტყოდე რამე, უნდა გითხრათ, რა ენაზედ მელაპარაკებოდა იგი. ფრანგულად. კარგადაო? იკითხავთ. ძალიან კარგად, საუცხოოდ. ხომ არ ამახინჯებდა? სულაც არა. კილოს ხომ არ უქცევს?

— არავითარს. ჩვენს შორის ის ჩემზედ უკეთ ჰლაპარაკობდა ფრანგულს, რადგან მე ცოტა ბრეტონულად მოვუქცევ კილოს, ის-კი ისე ჰლაპარაკობდა, ასე გეგონებოდათ ნამდვილი პარიჟელიაო. იმპერატორმა სიცილით მკითხა, კილო ლაპარაკისა როგორი მაქვსო.

— თქვენ სწორედ პარიჟელსავით ჰლაპარაკობთ-მეთქი, ვუთხარი.

— ეგ არც საკვირველია, რადგან მე ერთი მეგობარი მყავს (უყვარს იმპერატორს ამ სიტყვის თქმა, როდესაც თავის მახლობელთა შესახებ ჰლაპარაკობს), რომელიც ათის წლის განმავლობაში ჩემი მასწავლებელი იყო და ეხლაც ჩემთან არის, პარიჟელია... ჩემს ლაპარაკში მდაბიო, უხერხული სიტყვა ხომ არა მოგსმენიათრა?

— ერთი სიტყვა მომესმა.

ამან ცოტა არ იყოს ააღელვა.

— რა სიტყვა?

— როდესაც თქვენმა უდიდებულესობამ ჰბრძანა: „აქ ვიკრიბებით, რომ ვილაზღანდაროთო“ (pour godailler).

— Godailler ფრანგული სიტყვაა, აკადემიის ლექსიკონშიაც-კია მოქცეული.

— მართალია, აკადემიის ლექსიკონში მოქცეულია, მაგრამ აკადემიაში-კი მაგ სიტყვას არ ხმარობენ.

— დავიხსომებ. ეს პირველი შემთხვევაა ჩემთვის ასეთი.

— გეფიცებით, თქვენც, თქვენო უდიდებულესობავ, ისეთივე მიმდევარი ყოფილხართ ენის სიწმიდისა და სიტაქიზისა, როგორც თქვენი პროფესორი.

ამ უბრალო, უმნიშვნელო ამბავმა თითქოს გაართო იმპერატორი.

შემდეგ მაგრძნობინა, რომ საუცხოოდ იცნობდა ჩვენს საუკეთესო მწერლებს. ვიცოდი, რომ იგი დიდს მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო და სამხედრო საქმეებში და მთელი მისი ცხოვრება მოღვაწეობით იყო სავსე; ამიტომ ვერ მიმხვდარიყავ, სად მოიცალა ფრანგულის რომანების საკითხავად-მეთქი. იგი მარწმუნებდა, რომ ამ ქვეყანაზედ ყველაზედ მეტად ოჯახი მიყვარს და უდიდესი ჩემი სიამოვნება და ბედნიერება ის არის, რომ მშვიდობიანად შევჭამე სადილს, ჩემს ოჯახში, ჩემს მეუღლესთან, როგორც უბრალო მცხოვრებელმა ბერლინისამ, და დაძინებამდე ჩემს ცოლს ერთი თავი წავუკითხო ფრანგულ რომანიდგანაო. იმპერატორს გონება ფრიად ცხოველი აქვს, არ უყვარს არც ერთის წუთის დაკარგვა და ყველაფერს ადვილად მისწვდება ხოლმე მისი გონება.

მინდოდა შემეტყო რა აზრისა იყო ჩვენ ახლად გამოსულ მწერლების შესახებ; დიდხანს არ მომინდა ლოდინი. იგი ერთ გვარად ძლიერად მოდიოდა აღტაცებაში ერთის მწერლით და ძლიერადვე სძულდა მეორე. ონეს ნაწერებით აღტაცებაში იყო მოსული. იმპერატორმა აქო იგი რამდენისამე მახვილის სიტყვით, თითქოს ხელობით ნამდვილი კრიტიკოსი იყოსო.

სძულს ზოლა და ძალიან ძლიერადაც სძულს.

მინდოდა გამეგონა იმპერატორისაგან რამდენიმე სიტყვა პოლიტიკის შესახებ, რამდენიმე ხერხი ვიხმარე, რაც-კი შემეძლო და უნარი მქონდა, რომ სიტყვა ამ საგანზედ ჩამომეგდებინებინა, მაგრამ ის დიდის ხელოვნებით იცილებდა ამ ხერხს და თავს ისე იგანგებებდა, ვითომ-და არა მესმის-რაო.

მაინც-კი ორი აზრი გავიგონე სიამოვნებით. ჩვენ საზოგადო ლაპარაკი გვქონდა ომის შესახებ.

„ბევრი ვიფიქრე ომის შესახებ მას შემდეგ, რაც სამეფო ტახტზედ ავედიო, სთქვა მან: და გადავსწყვიტე, რომ ჩემს მდგომარეობაში მყოფმა კაცმა უფრო სიკეთე უნდა ჰქმნას, ვიდრე ხალხს შიშით გული დაუხეთქოს“.

მინდოდა გამეგონა იმისი აზრი უფრო გარკვევითა და ნათლად, ჩამოვუგდე კიდეც ბაასი საფრანგეთისა და ინგლისის ომის შესახებ და, სხვათა შორის, დავსძინე, რომ ფრანგთა უმეტესობა მშვიდობიანობის მოყვარეა-მეთქი.

„მე სრულიად მიუდგომლად ვამბობო, სთქვა იმპერატორმა: თქვენი ჯარი დამარცხდა, მაგრამ მას შემდეგ იგი დიდს წარმატებაში შევიდა. ეხლა რომ მოუხდეს თქვენს ჯარს გერმანიის ჯართან შებრძოლება, ძნელია იმისი თქმა, რომელი მათგანი გაიმარჯვებს. და აი, კიდეც ამიტომ ყველა იმას, ვინც წააქეზებს საომრად ამ ორს ერს, გიჟად, დამთხვეულად და ავაზაკად ჩავსთვლიო“.

## სასამართლოს მატიანე

(დასასრული *)

22 ივლისს სასამართლოს სხდომა გაიხსნა თუ არა, პირველად ჰკითხეს მოწმეს ლებლანს, იმ ჯარის კაცს, რომელიც სეტტის სამკურნალოში იმყოფებოდა იმ დროს, როდესაც კაზერიო იქ საქმიოდ იწვა. მოწმის ჩვენება თანდათან უფრო მეტს ყურადღებას იზიდავდა საზოგადოებისას, რადგანაც დამნაშავე რამოდენიმეჯერ სცდილობდა გაეწყვეტინებია მისათვის სიტყვა და ხშირად ედავებოდა მოწმეს. მოწმის ჩვენების ზოგიერთს ადგილებს მოთმინებიდგან გამოჰყავდა კაზერიო.

### ლებლანის ჩვენება.

„თებერვლის დასაწყისში მე სეტტის სამკურნალოში ვიმყოფებოდი საქმიოდ კაზერიოსთან ერთად. ამ ჩემს ამხანაგთან დადიოდნენ ბევრი ანარხისტები და მათ შორის იყო ცნობილი სორე (როგორც სხვა გაზეთები უწოდებენ—სორელ). დიდხანს საუბრობდნენ ხოლმე იგინი, მაგრამ მე არ ვერეოდი მათს საუბარში.

„აი, ბურჟუა,—უთხრა ერთხელ კაზერიომ სორეს და მოუთითა ჩემზედ—ამას არც-კი უნდა გაიგონოს რამე ანარქიაზე“.—„არა!“—ვუპასუხე მე «რავაშოლი მკვლელი იყო!»—„ყოველს შემთხვევაში ის იყო ისეთი მკვლელი, რომელმაც აღასრულა თავისი მოვალეობა!“—მომიგო კაზერიომ.—„ვაილიანი? ვუთხარი მე—იმას პარლამენტის დანგრევა და განადგურება უნდოდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ყველა თქვენი განზრახვა არ შესრულდება ხოლმე.—„თუმცა ვაილიანს ხელი შეეშალა,—განაგრძო კაზერიომ—ჩვენ ვიქნებით მისი თავდები, რომ ჩვენ ჩვენს აზრს მივაღწევთ.

შემდეგ, როდესაც მე მარსელის სამხედრო საპყრობილეში ვიჯექი და გავიგე, რომ კარნო მოჰკლეს, მე სრულიად უნებლიეთ მომაგონდა ეს საუბარი. ჩვენ შეპყრობილთ, ის რწმუნება დაგვებადა, რომ კარნოს სიკვდილისა გამო ომი ატყდებოდა საფრანგეთსა და იტალიას შორის და ჩვენ გვაპატიებენ დანაშაულს. ღამღამეობით სიხარულით ჩვენ ვიმღეროდით: „Ça ira“-ს. ჩვენ-კი ბრალსა გვდებდნენ, რომ ვითომ „Ravachole“-ს **) ვიმღეროდით და ამ საგანზედ საპყრობილეს უფროსმა მიმიხმო. „მე თვით მინდოდა თქვენთან ხლება, ვუთხარი მე უფროსს—მე შემიძლიან საყურადღებო ამბავი გარდმოგცეთ“.—„დიაღ;—გამაწყვეტინა სიტყვა მან, თქვენ თითონ სეტტიდდანა ხართ და იქ Tierce-ის წევრადაც ითვლებოდით, ასე უწოდებდა ის ერთს საიდუმლო საზოგადოებას. მე ვუპასუხე, რომ „ანარქისტი არას დროს არა ვყოფილვარ, თუმცა მათ შესახებ ბევრი რამ ვიცი-მეთქი“.

კაზერიო მხრებს აიწევს: ჯარის კაცმა ლებლანმა არ იცის რას ლაპარაკობს. ეგ ახლა სულ სხვა ჩვენებას იძლევა, ვიდრე გამომძიებელს მისცა. სეტტის სამკურნალოში ჩემთან არავინ არ დადიოდა. მე ცალკე განყოფილებაში ვიწექი. ლებლანს უთხრეს, რომ ერთი ანარქისტი მაინც დაასახელებინა, რომელიც ჩემთან დადიოდა, მაგრამ ვერ დაასახელა.

ლებლანი—უკაცრავად, მე მიგითითეთ სორეზე. ამასთან კაზერიო უარს ვერ ჰყოფს, რომ ამხანაგებმა სამკურნალოში მოუტანეს ჩიკაგოელთა ანარქისტთა სურათები და სურათი რავაშოლისა, რომელიც გილიოტინის წინ იდგა. ყველა ავადმყოფებმა ნახეს ის სურათები!

თავმჯდომარე მოწმეს. კაზერიოს არ უთქვამს, რომ ყუმბარა საიმედო არ არის, რადგანაც ის ხშირად ასცილდება ხოლმე საგანსაო?

ლებლანი. დიაღ, სთქვა; და როდესაც მე ვკითხე მას, რად არ მოინდომა სიკვდილი იტალიის მეფისა, მან მიპასუხა: „მეფეთ და დიდებულთ კარის-კაცთ ბევრი დარაჯები ჰყავთ და დიდათ გაფრთხილებულნი არიან; მაგრამ მე მაინც ვიპოვი ღონისძიებას დავამარცხო სახელმწიფოს მეთაური“.

კაზერიო. ეგ მე-კი არ მითქვამს,—ეგ სთქვა ავადმყოფმა, რომელიც № 2 ტახტზედ იწვა. მე დამავიწყდა მისი სახელი, მაგრამ ნამდვილად იგი გვისაყვედურებდა, რომ ჩვენ, მაგ. ანრი, ყუმბარას ვისვრით ყავახანებში, ვერავის ვერ ვკლავთ, მის ნაცვლად, რომ ჩვენ მოვკლათ ხოლმე იმპერატორნი, მეფენი და პრეზიდენტნი. მე ვუპასუხე, რომ ეგ ძალიან ძნელია-თქო; მე ვნახე იტალიის მეფე, რომელსაც გარს მრავალი მცველები ახლდა-თქო. ამაზე ჩემმა მეზობელმა მომიგო, რომ ამ შემთხვევაში ერთად-ერთი საშუალება არისო: ზევით ფანჯარაზე გადმოჯდე და იქიდამ ესროლო მიზანში ამოღებულსო!

თავმჯდ. სწორედ რომ სთქვას კაცმა, ორივე თქვენი ამბავი ერთი-მეორისაგან განირჩევა მხოლოდ გარეგნობით. ცხადია, რომ ამ გვარი საუბარი თქვენ გქონიათ.

ლებლანი.—სრულიად მართალია.

თავმჯდ. თქვენ უფრო ვრცელი ჩვენება მიეცით გამომძიებელს. თქვენ იმას უთხარით, რომ კაზერიოს იმედი ჰქონდა თავისი წადილი სისრულეში მოეყვანა ლიონში, როდესაც პრეზიდენტი იქ გამოფენის სანახავად წავიდოდა, რადგანაც ეს გამოფენა მას უთუოდ უნდა ენახა.

კაზერიო. მე არც-კი ვიცოდი ლიონში თუ გამოფენა იყო; თორემ მე ფულებს არ დავფანტავდი და ნახევარი გზა ქვეითად სასიარულოდ არ გამიხდებოდა. მე არავისათვის არ გამიმჟღავნებია ჩემი საიდუმლო, რომ მე პრეზიდენტის სიკვდილი მინდათქო.

ლებლანი.—გეყოფათ! მკვლელი წილის ყრით იყო ამორჩეული! (ხალხში მოძრაობაა) მას უნდა ორი, ანუ სამი ამხანაგი გაჰყოლოდნენ, რომელთა დანიშნულებაც იმაში იყო, რომ მისი მოქმედება დაეფარა და მიეცათ საშუალება უფრო ადვილად გაქცეულიყო.

კაზერიო.—ჩვენ სამხედრო ხალხი არა ვართ, რომ წილი ვყაროთ. ანარ-

*) იხ. „ივერია“, № 164.

**) Ça ira და Ravachole—ორივეს სარევოლუციო ხასიათის სიმღერაა.

---

მაგრამ თანაც ყველა გვარი ემორჩილება საერთო ევოლიუციას. თუ ევოლიუცია უფორმოდ ჩასახულს ბავშვს ბოლოს მშვენიერის და მკაფიოდ გამოსახულის სახის კაცს ჰხდის, ისიც ხომ ვიცით, რომ კაცი არის ევოლიუციის უმაღლესი წერტილი პირუტყვთა და რომ ეს აუარებელი ცხოველთა სხვა-და-სხვაობა მხოლოდ ორის ან სამის წყვილისაგან წარმოსდგება.

პირველი საკითხავი დამტკიცდება და განირჩევა საფრანგეთის ტრაგედიის ისტორიის შესწავლით. ეს არის ის ჟანრი, რომელიც დაიბადა, გაიზარდა და მიაღწია თავის უმაღლეს ხარისხამდის რასინისა და კორნელის ხელში, მერე-კი დაეცა და ეხლა სულიც დალია.

იმის მაგალითს, თუ ერთი ფორმა როგორ გარდიცვლება ხოლმე მეორედ წარმოადგენს, ავტორის სიტყვით, ეხლანდელი სალირიკო პოეზია, რომელიც არის ნაშობი სასულიერო მჭერმეტყველებისა.

იმის დასამტკიცებლად, თუ ერთი ფორმა როგორ შესდგება სხვა-დასხვა ფორმის ნამსხვრევებიდგან, იკმარებს ისტორია ფრანგულის რომანისა. ამნაირად ეს თხზულება იქნება ისტორია საფრანგეთის ლიტერატურისა: ისტორია კრიტიკისა, ისტორია ტრაგედიისა, სალირიკო პოეზიისა და რომანისა. ჯერ მხოლოდ პირველი ტომი გამოვიდა და მეორე ტომის ნაწილი. ფრანგულის ტრაგედიის ევოლიუცია იბეჭდებოდა შარშანწინ „Revue Bleue-ში“, საფრანგეთის სასულიერო მჭევრ-მეტყველების შესახებ ავტორი კითხულობდა წრეულს ლექციებს სორბონაში და მეორე ტომის ნაწილი შეიცავს სალირიკო პოეზიის შესწავლას. ამნაირად ჯერ მისი დიადი შრომა წეს-რიგში არ არის მოყვანილი, თუმცა თითქმის უმეტესი და უძნელესი ნაწილი დამთავრებულია.

როგორც ხედავთ ძლიერ ორგინალურისა, საინტერესოსა და ნაყოფიერის შრომისათვის მოუკიდნია ხელი ბ-ნ ბრუნეტიერს. განმეორებით ვიტყვით, მით უფრო საიმედოა მისი შრომა, რომ იგი ნამდვილი მოხელეა ლიტერატურაში, ზედ მიწევნით იცის იგი და მოსალოდნელია, რომ ლიტერატურის ისტორიას არ დაანგრევს და არ დაამსხვრევს, არ შეაწებებს ერთმანერთს უვარგისის წებოთი, რომ მაინცა და მაინც თავისი თეორია გაიყვანოს.

ის ცდილობს მხოლოდ ახსნას ამ თეორიით მსვლელობა მწერლობისა, იგი შორს არის ფატალისტურს დეტერმინიზმისაგან, და ეს იმედს გვაძლევს, რომ კაცის სულიერს—ფსიხოლოგიურს მხარეს დიდს ყურადღებას მიაქცევს და აქცევს კიდეც და ამით მეხანიკურ, გარეგან ევოლიუციის თეორიას არ შეიტანს იქ, სადაც მას სრულიად არა აქვს ადგილი. ამას გარდა დიდი მეცნიერია და ეს უეჭველი საბუთია იმისი, რომ იმის დასკვნის საძირკველი ძალიან მჭიდრო ნიადაგზედ იქნება ამოშენებული.

პირველი ტომი, როგორც მოგახსენეთ, გვიჩვენებს კრიტიკის ევოლიუციას. აქ არის წარმოდგენილი ლიტერატურის ერთის გვარის—კრიტიკის—ევოლიუცია, არის ნაჩვენები კრიტიკა, რომელიც პირველად უბრალო თავის აზრის გამოთქმა იყო ამა თუ იმ თხზულების შესახებ, რა ნაირად გარდაიქცა არა მეცნიერების შტოდ არამედ ნამდვილ მეცნიერებად, რომელიც ბუნების მეტყველებას წააგავს. კრიტიკის ისტორია ბრუნეტიერის აზრით იყოფა სამს უმთავრესს ეპოქად: 1, ანტეკლასიკური; 2, კლასიკური, და 3, ისტორია ეხლანდელის კრიტიკისა.

პირველს ეპოქაში, რომელიც განახლების ეპოქიდან იწყება კრიტიკოსები სცდილობენ კლასიკურის ლიტერატურის შესწავლასთან ერთად გამოიძიონ და გამოირკვიონ, რა საშუალებას ხმარობენ ძველი მწერლები ესა თუ ის მოქმედება იქონიონ და ან რა არის უმთავრესი მიზეზები ამ მოქმედებისა?

მეორე ეპოქაში ისინი სცდილობენ დაადგინონ ლიტერატურული კანონები, რომელიც შედგენილია ძველის მწერლობის შესწავლის შემწეობით და რომელიც დღეის ამას იქით უნდა შექმნას ყოველის მწერლის სახელმძღვანელოდ (ბუალო, მაგალითად). ყველა მწერალს ვალად ედება დაემორჩილოს ამ კანონს, იხმაროს ისეთივე საშუალება, როგორც ძველს მწერლებს სჩვევიათ რომელისამე მოქმედების გამოსაწვევად. იმას-კი ყურადღებას არ აქცევენ, თუ რამდენად შესაფერია ძველი იარაღი ახალის დროისათვის. აქედგან დაიბადა მთელი ცრუ-კლასსიკური მიმართულება ლიტერატურისა.

მესამე, ეხლანდელს ეპოქაში კრიტიკოსები, რომლების საუკეთესო წარმომადგენელნი ქალბატონი სტალი და ბ-ნი შატობრიანი არიან, იწყებენ უცხოეთის და თავისის ძველის, ხალხურის ლიტერატურის შესწავლას. ამ შესწავლიდგან იბადება ეჭვის თვალით ყურება კლასსიკურის კრიტიკისაგან შედგენილის კანონებისა, რადგან უცხოეთის და თავის სახალხო ლიტერატურის შესწავლამ მათ ისეთი მშვენიერებანი აღმოუჩინა, რომელიც არ მოეპოვებოდათ არც ფრანგულს ცრუ-კლასსიკებსა და არც ძველს მწერლებსა.

(დასასრული იქნება)

ქისტთა შორის სრული თავისუფლება არსებობს და მათ წილის ყრა ვერ შეავიწროებს.

ლებლანი.—აი, ნამდვილი მაგისი სიტყვები. როდესაც მე ვკითხე კაზერიოს, რომელს შენს ამხანაგთაგანს დაევალება კარნოს სიკვდილითქო, მან მიპასუხა: მაგას წილის ყრა გარდასწყვეტსო. (საზოგადოებაში მღელვარებაა).

### ბრალმდებელის და დამცველის სიტყვა.

ბრალმდებელმა ფოშიემ დაიწყო თავისი სიტყვა განსვენებულის კარნოს ზნეობრივი ღირსების დასურათებით, მოაგონა დამსწრეთ შემაძრწუნებელი მკვლელობის გარემოება, რომელიც კაზერიომ ჩაიდინა, და გულსაკლავად აღნიშნა სიკვდილი პრეზიდენტისა. „კარნო ისე მოკვდა, —სთქვა ბრალმდებელმა,—რომ ერთი სიტყვა, სიძულვილის გამომსახველი, არ წარმოუთქვამს თავისის მკვლელის შესახებ. სიძულილი არ იცოდა მისმა კეთილმა გულმა და სულგრძელებამ! რომ გადარჩენილიყო, გვეტყვიან, დამნაშავეს შეუნდობდა დანაშაულსაო. დიაღ, მაგრამ ის გარდაიცვალა და ამისათვის თქვენი მოვალეობა, ბბ. ნაფიცნო მსაჯულნო, სულ სხვა არის. მე თქვენგან მოვითხოვ მართლ-მსაჯულებას. (მღელვარება). კაზერიომ გამოძიების დროს სთქვა, რომ იგი ყოველივეს თქვენს წინაშე იტყვის. აი, ეს დროც დადგა! აბა, ილაპარაკოს, აბა, სინჯოს და განგვიმარტოს თავისი შემაძრწუნებელი, უაზრო, და უსინიდისო დანაშაული, რომელმაც მთელი საფრანგეთი ძაძებით შემოსა. ის ამტკიცებს, რომ მას თანამოზიარენი არა ჰყოლია; აგრე იყოს! მაგრამ ეს ხომ ცხადია, რომ ვალიანის და ანრის დასჯის შემდეგ, რესპუბლიკის პრეზიდენტის მოკვლა ანარქისტებისათვის გადაჭრილი საქმე იყო; მუქარის წერილები ელისეს სასახლეში გაუწყვეტლივ მიდიოდა“. შემდეგ ბრალმდებელმა დაახასიათა ანარხისტები, როგორც ბრბო მკვლელთა, რომელნიც არცერთს პოლიტიკურ დასს არ ეკუთვნიან.

იყო თუ არა შეთქმულობა? მე „სიფრთხილით ვისარგებლებ ლებლანის ჩვენებით. შეიძლება მართლა, რომ წილი არ უყრიათ კარნოს მკვლელის ამოსარჩევად, მაგრამ ყოველს იჭვს გარეშეა, რომ კაზირიომ, როგორც თვითვე აღიარა, დიდი ხნიდამ გარდასწყვიტა მოეკლა «დიდის მეთაურს». ეს ადრევე მოფიქრებული განზრახვა შეუცვლელად დარჩა. იმ ხანგრძლივი მოგზაურობის დროს სეტტიდამ ლიონამდის, რომელსაც მან 30 საათი მოანდომა და რომლის დროსაც ყოველივე სიფრთხილე და თავდარიგი მოიხმარა, რომ გზა და კვალი აებნია პოლიციისათვის, ერთი წამიც არ ყოფილა ისეთი, რომლის განმავლობაშიაც მას სინიდისის ქენჯნა ეგრძნოს. თქვენ ახლა გეტყვიან, რომ ის ბნედიანის შვილიაო. მაგრამ ამ კაცს, რომლის გარდაწყვეტილება ასეთი შეურყეველი იყო, მოუვიდა ბნედა? მისი მედგარი ხასიათი შეურყეველი იყო: „მე განვიმეორებდი მას, რაც მოვახდინეო“, განუცხადა მან გამომძიებელს.

მხოლოდ უსასტიკესი სასჯელი გამოისყიდის ამ სისხლის მსმელის, ამ მკვლელის დანაშაულობას!“

დამნაშავის ვექილმა დიუბრეილმა თავისი სიტყვა იმაზედ ააგო, რომ კაზერიოს არ მოეთხოვება სრული პასუხი, რადგანაც ის მემკვიდრეობითვე იყო გამზადებული დანაშაული ჩაედინაო. ამ აზრის განმარტებამ გამოიწვია დამნაშავის მხრივ წინააღმდეგობა; თავმჯდომარემ შენიშნა, რომ, თუ იგი არ დამშვიდდება, უბრძანებს გაიყვანონ იგი სამსაჯულოდგან. სიტყვა დამცველისა, როგორც გაზეთები გვაუწყებენ, იყო მშვენიერი და ძლიერი შთაბეჭდილება იქონია საზოგადოებაზე და თვით დამნაშავეზედ.

როდესაც ვექილმა მიჰმართა ნაფიცთ მსაჯულთ და სთხოვა მათ გაიხსენონ დამნაშავის დედა, მისი ცრემლები, მისი სასოწარკვეთილება. კაზერიომ, მიუხედავად ყოველივე მეცადინეობისა, ველარ შეიკავა ცრემლები. „მადლობა ღმერთს—თქვენ სტირითო“!.. სთქვა ორატორმა,—კურთხეულიმც იყოს ეგ სულის გამაახლებელი ცრემლი! ეგ ცრემლია თქვენი საუკეთესო ფარი და იარაღი“! თავისი დანიშნულება, როგორც დამცველის, დიუბრელმა განმარტა ამ გვარად: „ჩემი სიტყვა, დამნაშავის დასაცველად წარმოთქმული, არ იქნება მარტო მსგავსება დაცვითი სიტყვისა, ამ საშინელს სასამართლოს დრამაში, რომლის დასასრულში სჩანს სისხლიანი აჩრდილი ჯალათისა, დანაშაულობა თვალ-წინ გვაქვს, ადრევე მოფიქრებული განზრახვა საეჭვო არ არის. დიაღ, კაზერიომ დასცა მახვილი შეურყევლად, სვინიდისის დაუკითხავად და მისი ხელი ერთ წამს არ შემკრთალა. მან აღიარა, რომ მზად იყო თავისი დანაშაული ხელ-ახლად ჩაედინა! ამისათვის მე საჭიროდ არა ვრაცხ მოგთხოვოთ ამ დანაშაულის სხვა-და-სხვა გვარ განსჯა! არც ანარქისტთა თეორიებს შევეხები, რომელთაც ყველა ბრმად მიჰყავს მკვლელობამდის! ჩემი ღღევანდელი მოვალეობა ასე შორს არ მიდის. მე მას ჩემს სვინიდისს ვერ შევსწირავ. მაგრამ თქვენ წინაშე სდგას ჭაბუკი, რომელიც სიყრმიდგან ახლა გამოვიდა, და მე მაქვს უფლება გაჩვენოთ, თუ ის, რომელიც გულჩჩვილი და მგრძნობარე ყრმა იყო; რომელიც ცხვრის ტყავით მორთული ივანე ნათლის-მცემელს არდგენდა მოტტი-ვისკონტის საღვთო წარმოდგენების დროს,—როგორ სასტიკ ფანატიკოსად გარდაიქცა. „ეს ჭაბუკი თავის თავზედ არ ზრუნავს და თვითვე გაუჩენს თვის თვს სასჯელს, წაიკითხეს-რა თქვენს წინაშე განცხადებას, რომელიც აღვსილი იქნება წარმოუდგენელის მძვინვარებით“

მართლადაც, როდესაც კაზერიოს უკანასკნელი სიტყვის თქმის ნება მისცეს, იმან ჯიბიდამ ამოიღო ქაღალდი და გარდასცა თარჯიმანს. სანამდის ამ ქაღალდს წაიკითხავდენ, თამჯდომარემ წინდა-წინვე ამცნო ბეჭვდითი სიტყვის წარმომადგენელთ, რომ სასამართლო უეჭველია აღუკრძალავს ამ საბუთის გამოქვეყნებას, რადგანაც კაზერიოს განცხადება იქნება ქება ანარქიულის თეორიებისაო. ბრალმდებელის თხოვნით ასეთი განაჩენი დაადგინეს და კაზერიოს განცხადება გაზეთებში არ დაბეჭდილა.

### განაჩენი

დღის 12 საათზედ ნაფიცნი მსაჯულნი გავიდნენ სათათბიროდ დ 10 წამის შემდეგ გამოიტანეს გამამტყუნებელი განაჩენი, რომელიც არავითარს შეღავათს დამნაშავეს არ აძლევდა. ბრალმდებული სიკვდილით დასჯას თხოულობდა, მაგრამ კაზერიოს დამცველმა აღძრა კითხვა იმის შესახებ, ჩაითვლება თუ არა კანონიერად განაჩენი მაშინ, როცა თავმჯდომარემ, სხდომის გახსნის დაწყებისათანავე წინადადება მისცა ნაფიც მსაჯულთ სამაგალითოდ დასაჯეთ კარნოს მკვლელიო. ბრალმდებელმა უპასუხა, რომ ეგ სიტყვა თავმჯდომარის მიერ იყო წარმოთქმული განსამართლების დაწყებამდის და ამ განაჩენთან არავითარი კავშირი არა აქვსო.

თავმჯდომარემ ჰკითხა დამნაშავეს: მოაწერა, თუ არა მან ხელი თავის ვექილის განცხადებაზედ. რადგანაც ეს განცხადება დამნაშავის მხრით ხელმოუწერელი არ იყო, ამისათვისვექილმა მიაწოდა მას კალამი და განცხადება, მაგრამ კაზერიომ გადაათვალიერა რა ქაღალდი, უარი განაცხადა ხელის მოწერისა. მაშინ დიუბრელმა სთქვა, რომ ის თვით თავის სახელით აცხადებს უთანხმოებას. მსაჯულნი გავიდნენ მოსალაპარაკებლად და რამოდენიმე წამის შემდეგ გამოიტანეს განაჩენი, რომელიც ბრალმდებელის აზრს ეთანხმებოდა. შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა, რომ კაზერიოს სიკვდილით დასჯა გარდუწყდაო. კაზერიომ თავ-დახრილი მოისმინა განაჩენი, შემდეგ დამშვიდებით დაიხურა ქუდი და იმ დროს განმავლობაში, სანამდი ჟანდარმები ბორკილებს უკეთებდენ, იგი სცდილობდა ეყვირა; მაგრამ მღელვარება, რომელის დაფარვა ჰსურდა, აღრჩობდა და სასამართლოს სადგომში ისმოდა ჩახლეჩილი მისი ხმა. შეიძლება კაცს ეს გამოერკვია: „გაუმარჯოს სოციალურ რევოლუციას“ და შემდეგ იტალიანურად: „გამხნევდით ძმებო! გაუმარჯოს ანარქიას!“

### განაჩენის შემდეგ

სასამართლოდამ კაზერიო წმ. პავლეს საპყრობილეში წაიყვანეს. დიდის მადით შესჭამა ხორცის ნაჭერი, რომელიც სასამართლოში მოტანილ კერძს გადაარჩინა. შემდეგ იმასთან მოვიდა საპყრობილის უფროსი რო. კაზერიომ, სხვათა შორის უთხრა მას: „მე ძალიან ვსწუხვარ გასამართლების დროს რომ ვიტირე“. მერე სთქვა: თუ რომ, მე რაიმე სასწაულით თავისუფლების მოპოება შემეძლოსო, არავითარს დანაშაულს აწ მე აღარ ჩავიდენ, მაგრამ ანარქისტად-კი დავრჩებიო. ამატს გრასსის უთხრა, რომ მე სიკვდილისა არ მეშინია და სარჩობელაზე თამამად ავალო. იმან უარი განაცხადა კასსაციური საჩივრის შეტანისა, რადგანაც ადამიანთ არავითარი უფლება არა აქვთ ერთმანეთი გაასამართლონო. მიუხედავად ამისა კაზერიოს ვექილი ყოველივე კანონიერ ღონისძიებას ხმარობს შეუმსუბუქოს ბედ-იღბალი დამნაშავისა და გარდასწყვიტა იშუამდგომლოს კ. პერიეს წინაშე კაზერიოს შეწყნარების შესახებ.

---

### პეტერბურგის ბირჟა, 29 ივლისი

| | მყიდვე-ლისა. | გამყიდ-ველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,48 | 7,47 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . | $148^1/_2$ | $149^1/_2$ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — „ | — „ | $239^3/_4$ |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | $225^1/_4$ |
| 4% მესამე სესხისა. . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | 190 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | — „ | — „ | — „ |
| 5% . . . . . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — „ | — „ | — „ |
| 5%. . . . . . . | 100 | — „ | — „ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |


# განცხადებანი

## პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პრუტსკოვიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-ისა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათამდის.

ვ. ი. ფრანციუსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერი-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

---

ისყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში: ი. ხეთერელისა და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში ბ. კალანდაძესთან.

განჯაში დ. ქლივიძესთან.

ახალ-სენაკსა და ოზურგეთში კ. თავართქილაძესთან.

# ქრისტინე
მოთხრობა
ე. ნინოშვილისა
გამოცემული
პ. გოგუაძისა და დ. ქლივიძის მიერ
ფასი ერთი აბაზი

# ცხოვრება
დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა
თარგმნილი
მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი
ფასი ერთი შაური
ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

---

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

თხზ. დ—რის ლორენცისა.

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig(საქსონიას). უცო-ქვეყნელნი კაი გგზავნის ფას ს იხდიან.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ვისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . | „ | 20 |




სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.